

მანანა ტაბიძე /თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი/

ირანში გადასახლებული ქართველების ლინგვისტური მარკერები

დღეს, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა მარკირებისათვის რამდენიმე ლექსემა გამოიყენება: “ემიგრაციაში წასული”, “უცხოეთში მცხოვრები”, ირანში, თურქეთში, “დასახლებული” ქართველები, ფერეი-დანელი ქართველი, თურქეთელი ქართველი, კახეთიდან გადასახლებული ქართველები, “ჩვენებურები” და სხვ.

თითქმის ყველა ეს ლექსიკური მახასიათებელი თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ღირებულებების გათვალისწინებითაა შერჩეული, რათა მაქსიმალურად შესუსტდეს ლინგვისტურ მარკერში სხვაგან ცხოვრების მიზეზთა ამსახველი ცნებების გამოყენება და იმ ფუძეების აქტივიზაცია, რომელიც შორეული წარსულიდან ხშირ შემთხვევაში ომებისა და მასობრივი დაპირისპირების მრისხანე აჩრდილებს გამოიხმობდა. ასეთია: აყრა, გარეკვა, წასხმა, დარბევა, მოოხრება, დაწოკება, დევნა, ლტოლვილება და სხვ. ამ ლექსიკამ, სამწუხაროდ, ჩვენს დროშიც პოვა გამოყენება, რადგან აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებს კვლავ დასჭირდა ლინგვისტური მარკერების მორგება-მისადაგება (T. Turkia, 2008.

<http://195.178.225.22/CSmsl/msl/Turk.pdf>).

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ისტორიული წარსული (ისევე, როგორც ნებისმიერი ქვეყნისათვის მისი საკუთარი ისტორია) დღეს აღიქმება სემიოტიკური სიმძაფრით, რადგან საერთო წარსული ის ღერძია, რომლის გარშემოც ის ადამიანები (საზოგადოება, ხალხი, ერი) კონსოლიდირდება, რომელსაც საერთო სიხარულისა თუ წუხილის მოგონება, ერთი და იმავე ისტორიული ფაქტისადმი არა მხოლოდ ერთნაირი დამოკიდებულება, არამედ თუნდაც ერთი და იმავე ისტორიული მომენტის ცოდნაც კი ერთმანეთის მიმართ სიახლოვის გრძნობას აღუძრავს. ამგვარი საერთო წარსული საუკუნეთა შემდეგ არა მხოლოდ ბარიკადების ერთ მხარეს, არამედ საპირისპირო მხარეს მდგომთა გამაერთიანებელ მოგონებადაც შეიძლება მოგვევლინოს.

სოციოლინგვისტიკაში ხშირად მიმართავენ პიროვნებისა თუ საზოგადოების იდენტობის კვლევის ისეთ მეთოდებს, რომლითაც დაკვირვების ობიექტის იდენტობის დასადგენად სხვადასხვა ისტორიული ფაქტისა თუ ტრადიციული ღირებულებებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა ხდება და საზოგადოებრივ ერთობად სწორედ ისინი მიიჩნევიან, ვინც ერთიანია ამ თვალსაზრისით (Bo

Petersson, 2000: 17-18); თუმცა ღირებულებათა სისტემა უაღრესად ფართო და რთულია, და ყველა ასპექტის გამოკვლევა დღეისათვის ცნობილი მეთოდებითა და მეთოდოლოგიებით ძალიან ხანგრძლივსა და მძიმე შრომას მოითხოვს. ქართველთა ეროვნული იდენტობის კვლევის გზაზე ერთაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტი მე-17 საუკუნის ქართლ-კახეთის ბედს უკავშირდება. მხედველობაში გვაქვს კახეთის დიდი ტრაგედია, რომელიც კახეთის მიწა-წყლიდან ქართველთა აყრასა და უცხოეთში გადასახლებას შეეხება. ნებისმიერი მეტ-ნაკლებად განათლებული ქართველისათვის: ირანში ქართველთა გადასახლების კონტექსტის ლინგვისტური მარკერები საერთოა: “ფერეიდანი — საქართველოს ტკივილია”, “შორია გურჯისტანამდე”, სულ ახსოვდათ: “ნუ გათათრდები”, “ღალატი რომ არ ყოფილიყო” და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდანის ქართველობა სპარსეთში სასტიკი ომების შედეგად მოხვდა, ქართული ისტორიული წყაროებიცა და მწიგნობრული აზრიც ამ ეპოქის მოვლენათა შეფასებისას უფრო მეტს ამბობს ამ საბედისწერო მოვლენებში თავად ქართველთა მიერ დაშვებულ შეცდომებსა და ღალატზე, ვიდრე სპარსელთა პასუხისმგებლობაზე. სხვათა შორის ეს დამოკიდებულება, როგორც ჩანს, ძალიან ღრმად არის ქართველთა ცნობიერებაში გამჯდარი; ცხადია, ყველას ესმის, რომ ღალატისა და ვერაგობისაგან არცერთი ერი არაა თავისუფალი, და კაცთა ბუნების ეს მახინჯი მხარეები ყველგან იჩენს თავს. ასე რომ არ იყოს არც საკონცენტრაციო ბანაკები იარსებებდა, არც ხიროსიმა, არც 11 სექტემბერი და არც თანამედროვე ცივი და ცხელი ომები. მაგრამ ქართველთა თვითნაწილში იკითხება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა საკუთარი თვისტომის საქციელზე, და მიდრეკილება ყოველი კონკრეტული მანკიერების განზოგადებისაკენ; ძალიან ხშირია ჩვენში გამოთქმა “ქართველები გაუტანლები ვართ”, “ქართველები მოღალატეები ვართ”, “ზარმაცები ვართ”, “არ ვიცით ერთმანეთის ფასი” და სხვ.

ეს მტანჯველი თვითკრიტიკა და მუდმივი განსაცდელი, როგორც ჩანს, სხვათა საქციელის მკაცრად შეფასებას უშლის ხელს, და ამიტომაცაა, რომ ქართველობა ხშირად შემწყნარებლური (და ზოგჯერ გადაჭარბებული შემწყნარებლობითაც კი) თვალთ უყურებს ისეთი სპეციფიკური მოღვაწეების “სასხვისო” (სხვებისთვის განკუთვნილ) წარმატებებს, როგორც არიან, მაგალითად, გიორგი სააკაძე და იოსებ ჯულაშვილი, რომელთა პიროვნული წარმატებები საქართველოსთვის ზიანის მოტანას გულისხმობდა.¹

¹ მაშინ მოუთრავი დიდს ხანს ახლდა შაბაზს გუერდსა და მრავალი ემსახურებინა მოუთრავსა. და დაანდო გული და წყალობაც მრავალი ექნა,

ქართული პერიოდიკა მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული დროდადრო ეხებოდა სპარსეთში მოსახლე ქართველების თემას, თუმცა კი აშკარად იგრძნობოდა ინფორმაციის სიმწირე. და მაინც, ალაგ-ალაგ მაინც ქვეყნდებოდა ფერეიდნულ კილოზე გაწყობილი ხალხური ლექსები, ხალხში შემონახული ლეგენდები და მოგონებები. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ფერეიდნულთა ნახვა რიგითი ქართველისათვის მიუწვდომელი ოცნება იყო, შეიძლება ამიტომაც ემატებოდა მცირე ინფორმაციებს დიდი წარმოსახვა და იდეალიზაცია ჩვენი თანამემამულეებისა; ხალხი ერთმანეთს უყვებოდა ფერეიდნულ ქართველთა წარმატებულ საქმიანობაზე ირანში, ქართული ენის დიდებულ ცოდნაზე, ქართული დაბა-სოფლების სახელწოდებათა სიცოცხლეზე ფერეიდანში, ფერეიდნული დედების ნამღერ იავნანაზე, ფერეიდნულ ქართველთა მრავალშვილიანობაზე (ეს მითი სულ მუდამ ერის რიცხოვნობაზე მოწუხარი ქართველების შეთხზულია), ჭადის გამოცნობისას ზედ ჯვრის გამოსახულებაზე და ა.შ.. შეიძლება ითქვას, რომ როგორც ფერეიდანში ინახავდა ხალხი თავისი იდენტობის განმსაზღვრელ ლეგენდებსა და მითებს, ისე ქმნიდა საქართველო ახალი ტიპის მითოლოგიას ფერეიდანში მცხოვრები ქართველების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ამ მითებისა და ლეგენდების სრულიად საქართველოში “გადამტანი” სწორედ პერიოდიკა გახლდათ.

თავის დროზე ქართული პრესა დიდი აღტაცებით გამოეხმაურა ზაქარია ჭიჭინაძის (1853—1931) ნაშრომს - “შავი დრო (ქართველთა გადასახლება ფერეიდანში)”, რომელსაც ავტორი ასე იწყებდა: ქართველებმა მეჩვიდმეტე საუკუნეს “შავი დრო” უწოდეს. ანუ ერთ-ერთი ლინგვისტური მარკერი სწორედ “შავი დროა”, მიუხედავად ჩვენს ისტორიაში მრავალად არსებული “შავი” დროებისა, ეს შესიტყვება ქართული იდენტობის ლექსიკურ ნუსხაში სწორედ ფერეიდანთანაა მიბმული.

რამდენიმე ლინგვოკულტუროლოგიურ მარკერს დავასახელებთ:

- უნდა ითქვას, რომ XVII საუკუნე არის **შავი დრო** ქართველთა, **შავზედ უფრო მეტიც.სისხლის წვიმების დრო**, როგორც

იცოდა, რომ მოურავემან ჩემს იქით არა იცის რაო. და უბრძანა მოურავეს: „მნებავს წარსვლა შენი საქართველოში და თანა წარგატან ყარჩინა-ხანს სპითა მრავლითა და ძესა ბაგრატისასა, პატარა სჯომონ-ხანს, წარვედ და მივედ პირველად და მოაოჯრე სრულიად კახეთი და იავარ-ყავთ და მოსარ პირითა მახვლისათა ქართლი, აჰყარე და ჩამომისხი აქა“. აღუთქუა ნიჭი დიდი და საბოძვარი მრავალი. (ბერი ეგნატაშვილი)

თქმულა “ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო... (ზ. ჭიჭინაძე);

- “კახეთი კი დაამხო, წელში გაწყვიტა, გადაასახლა“. (ზ. ჭიჭინაძე).
- ამის მეთაურობას სწევდა ბარბაროსულად გაზრდილი შაჰ-აბასი. **ბებია ამისი შალიკაშვილის ქალი განლდათ.** ბებია მ დასწყევლა ეს ბარბაროსი, როცა საქართველოს ასაკლებად წამოვიდა (ზ. ჭიჭინაძე).
- “ასე ამბობდა ქართველი, სპარსეთში გადახვეწილი, რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ, მაინც დაგრჩები ქართველი“.
- მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს დავასახელებთ ქართლის ცხოვრებიდან, რაც ლინგვისტურ მარკერთა ხასიათის საჩვენებლად, ვფიქრობთ, საკმარისია:
- “და უბრძანა მოურავს: ...წარვედ და მივედ პირველად და **მოაოჯრე სრულიად კახეთი და იავარ-ყავთ და მოსარ პირითა მახვლისათა ქართლი, აჰყარე და ჩამომისხი აქა“.**
- “მაშინ მოურავი **დაჰპირდა ქართლის დაჭერასა და კახეთისასა,** და თვთანც უნდოდა შააბაზს, და დართო ნება შააბაზ წამოსვლისა“. (ბერი ეგნატაშვილი)
- პირველ თურმე ერჩივა მოურავს შააბაზ ყენისათჳს ესრეთ, ვითარმედ: ქართლში ზამთარ მიდიო, ხიზანი მთაში ვერ შევაო და, რასც გინდა იქო, და თუმცა მთაში შევიდენო თოვლი და სიცივე ამოსწყუეტსო. და ესმინა შააბაზს სიტყუა მოურავისა და მოვიდა თუესა იანვარსა ხუთსა, ქრისტეს აქათ ჩქედ, და აღილო ციხე თორღისა შააბაზ და გამოილო ყოველივე საგანძური კახეთისა.
- მაშინ ეზრახა შააბაზ ლეკთა და გაუგზავნა კაცი და შეუთუალა ესრეთ, ვითარმედ: **მნებავს წარმოტყუენვა და იავარ-ყოფა სრულიად სანახებისა ამის, კახეთს მე ავყრი და, რაც მანდ ხიზანი კაცი და ქალი შემოვიდეს, დაატყუე[ვე]თო.** და წარვიდა და ჩავლო კახეთი და **ამოსწყვტა.** და წავიდა და **მოაოჯრა, და სხუანი აჰყარნა და თანა წაასხნა.** და რომელნიმე ლეკთა **ამოსწყვტეს და დაატყუევეს** და რომელნიმე მორჩეს თუშეთს, ფშავს და ჳევსურეთს, და სხუანი **ააოჯრეს და ამოსწყვტეს,** და რაც-ოდენნი შეიპყრეს, ცოლშვილიანად აჰყარეს და წაასხეს რომელიმე ფერიასა, რომელნიმე ახლანან თანა აწცა წინამძღოლ-მეთოფედ და არიან დღეინდელად დღემდე მეთოფედ, წინა უძღუებიან ყაენსა. მაშინ შემუსრა და დაამტვრია, რაოდენნი დაუშთა პირველ, ხატნი და ჳუარნი და წარმოილო ნაცარცვი და ნატყუნავი მისი.

- წაიკითხა და ესრეთ ეწერა ყარჩინახანთანა ყაენისაგან, ვითარმედ: “რაჟამს **მოსრათ კანნი, აჰყარეთ ქართლი და წამოასხით**, ხოლო მოურავს უღალატე, მოსჰერ თავი და გამომიგზავნე“.

სამეცნიერო ლიტერატურა ცხადყოფს, რომ პიროვნების, საზოგადოების, ერის თვითობის შესწავლისას განიხილება რამდენიმე პარამეტრი:

1. მიმართება დანარჩენ სამყაროსთან (წვლილი სხვა ქვეყნების კეთილდღეობაში, სამხედრო წარმატებები, კულტურული ღვაწლი და სხვ.);
2. იდეალი, რომელშიც თავსდება პიროვნების (ერის) ბიოგრაფია; აქ შედის გმირული ისტორია, ძველ წყაროებსა და დოკუმენტებში აღწერილი და დადასტურებული ყოველდღიური ცხოვრებით;
3. როგორ წარუდგენს ადამიანი (ერი) საკუთარ თავს სხვებს;
4. როგორ წარუდგენს ადამიანი საკუთარ თავს თავისიანს (მიგნიდან).

ერის თვითობის განმსაზღვრელ ნიშანთა შორის გარკვეული მიმდევრობაა დაცული; იმის მიხედვით, თუ ვისთვისაა განკუთვნილი ინფორმაცია, ინფორმანტი სხვადასხვა ნიშანს წამოწევს წინ და გარკვეული იერარქიითაც განალაგებს მათ. მაგალითად: ევროპელისათვის მისი ევროპელობა მნიშვნელოვანია სხვა სამყაროსაგან თავის გასამიჯნად, მაგრამ შიგნით, ევროპელთა შორის, სხვა მახასიათებლები მოქმედებს (ადმოსავლეთი და დასავლეთი ევროპა, ევროპის ესა თუ ის სახელმწიფო, კულტურული მონაპოვარი და სხვ.) /Uses of the Other. 1999: 37/;

რამდენადაც თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები საზღვართა წაშლასა და საყოველთაო ასიმილაციას გულისხმობს, თანდათანობით აქტუალური ხდება წარსულში ჩამოყალიბებულ წარმოდგენათა დაშლა და იმის დასაბუთება, რომ ზოგჯერ ეს წარმოდგენები ოდენ მითებსა და ლეგენდებზეა დაფუძნებული და არა ობიექტურ გარემოებებზე.

რა შეიძლება ჩაითვალოს საზღვართა პოლიტიკურად რელევანტურ მარკერად? ეს შეიძლება იყოს ენა, ისტორია, რელიგია, და ა.შ.,

რა ხდის ენას ეროვნული თვითობის მნიშვნელოვან მტარებელად?

ისტორიული განვითარების გზაზე ყველა ქვეყანას გამოუცდია მომხდურთა აგრესია. სწორედ ეს მომხდური ხასიათდებოდა ისეთი სიტყვით, როგორიცაა “უცხო” “მტერი”, “ურწმუნო”, “ურჯულო”, “სასტიკი”, “ყრუ” (მაგ., მურვან ყრუ). ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ რაც ამგვარ “უცხოს” ახასიათებდა, ცუდია, ხოლო ის, რაც თავად სახელის დამრქმევს ახასიათებს, ამის საწინააღმდეგოა (კარგია): თავისიანი, საკუთარი, შინაური, მოყვარე, მორწმუნე, მერჯულე და სხვ.

იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება მტერი, იცვლება ნაკლოვანებათა და ღირსებათა რაოდენობაც და თანამიმ-დევრობაც.

ა) ლექსემები: “სხვა“, “უცხო“ ქართულში იმ საზღვრის მიღმა რჩება, რომლის აქეთ თავს იყრის ყველა “ნაცნობი“. “სხვის“ კატეგორიაში განთავსდება: “თათარი“, “ურჯულო“, “ჩრდილოელი“, “გადამთიელი“ და სხვ.

ქართველისთვის ქართველიც შეიძლება იყოს “უცხო“, თუკი ეროვნული თვითობისთვის დამახასიათებელ პარამეტრებს არ აკმაყოფილებს. ასეთს — “უჯიშო“, “გადაგვარებული“, “უცხო ნიადაგზე გადარგული და აღზრდილი“ ჰქვია. ქართველისათვის - ნაკლად მიიჩნევა:

- ბ) პირუმტკიცობა
- გ) სიძუნწე
- დ) არაკაცობა
- ე) სიმხდალე
- ვ) ამპარტავნობა - ღირსებად მიიჩნევა:
 - ა) გულუხვობა
 - ბ) კაცობა²
 - გ) გულმართლობა
 - დ) გულწრფელობა
 - ე) საიმედოობა; გამტანობა.

ქართულში სათანადო ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სიუხვე და კონოტაციური მრავალფეროვნება ამ მსჯელობის სამართლიანობას ადასტურებს.

“სხვა“ (“უცხო“) ქართველისათვის ის ადამიანია, რომლისთვისაც არა მარტო მისაღები არ არის, არამედ მაინცა და მაინც არც გასაგებია ქართველთა ყოფა-ცხოვრება, წესი და ადათი (ამგვარი ადამიანისთვის ენას აქვს კიდევ თავისი სახელი: “გადამთიელი“; ისეთი უცხოელები კი, რომელნიც ქართველთა მიმართ კეთილგანწყობილ ხალხად მიიჩნევიან, სათანადო მსაზღვრელით არიან აღნიშნულნი: “ჩვენი ებრაელები“, “ჩვენი აზერბაიჯანელები“ (შღრ. “ქართველი ებრაელები“, მაგრამ “საქართველოს სომხობა“).

საბასთან ჩვენთვის საინტერესო სიტყვები ასეა განმარ-ტებული :

- ჩუენებური — ჩუენის თემისა
- უცხო, საუცხოო, სხვისი, გადამთიელი, ცხრა მთას იქითა, გადაკარგული, გადახვეწილი, შორეთი.
- უცხო — სხვა(ს) ქვეყ(ა)ნისა
- უცხოთესლი სხვა გვარის(ა) უმჯულო
- უცხოტომი სხვა გვარისა

² ეს ლექსემა შეიძლება ითქვას სრულიად სპეციფიკური, ოდენ ქართულ სინამდვილეში მოქმედი შინაარსით გამოირჩევა და სპეციალური კვლევის საგანიც შეიძლება გახდეს.

“სხვაში“ მოიაზრებიან სხვადასხვა ერისა და ეთნოსის წარმომადგენლები, რომელთაც ერთი საერთო აქვთ — ქართველებისა და ქრისტიანობის მტრობა.

ჩვეულებრივ, “სხვა“, “უცხო“ უფრო ადვილი დასახასიათებელი ჩანს, ვიდრე ახლობელი, რამდენადაც ზოგადი თავისებურებების შემჩნევა და შეფასება არ არის ძნელი, ხოლო დეტალების შეფასებას ფართო და საფუძვლიანი ცოდნა ესაჭიროება.

სურვილი იმისა, რომ ინდივიდმა (ან ერმა), შეძლების-დაგვარად, შემოსაზღვროს ის სივრცე (და საზოგადოება), რომელშიც იგი თავდაჯერებულია, შინაა, საიმედოდაა დაცული, ენობრივადაც არის აღნიშნული სათანადო ლექსიკით; ამ რიგისაა: “საკუთარი“, “ახლობელი“, “მოყვასი“ და ა. შ.

უპირველეს ყოვლისა, “საკუთარზე“ მითითებას კუთვნი-ლებითი ნაცვალსახელი კისრულობს.

საინტერესოა ნაცვალსახელი “თავისი“, რომელიც გარდა იმისა, რომ საკუთარს, კუთვნილს აღნიშნავს, ადამიანთა (ან კოლექტივთა) შორის სიახლოვის გარკვეულ ხარისხზეც მიუთითებს:

“უკუეთუ ვინმე თვისთა, და უფრომსლა სახლეულთა არა ილუწოდეს.“

“თვისთა და ნათესავთა უვარისყოფითა ასსა წილსა მიღებად ... აღუთქუმიდა. პირველ ყოვლისა თვისთა და მეგობართა განუშორიან.“

აქ საინტერესოა ისეთი შეწყვილება, როგორიცაა: “საკუთართა თვისთა“, “თვისი მისი“, “ყოვლისა თვისთა [და მეგობართა]“, “ნათესავნიდა თვისნი“.

ამგვარივე დატვირთვით მუშაობს ქართულში “ჩემი“ და “ჩემიანი“: ჩვენ, ჩემები, ჩვენებური, ჩვენიანი, ჩვენში და სხვ.

ენობრივი თვითობას უფარესად ღრმა საფუძველი აქვს ადამიანის ცნობიერებაში. თანამედროვე სოციოლინგვისტების ის ნაწილიც კი, რომელიც ჩვეულებრივ ერსა და ეროვნულ ფასეულობებს ადამიანებისათვის წიგნებიდან ხელოვნურად ჩანერგილ რომანტიზებულ მითებად აცხადებს, იძულებულია აღიაროს, რომ საზოგადოების კონსოლიდაცია მხოლოდ “მიგნიდან“ თვითაღქმის ერთიანობის შემთხვევაშია შესაძ-ლებელი (შესაძლოა, სწორედ ამიტომ ხარჯავენ გლობალისტები ამდენ ენერჯიას სხვადასხვა ხალხის ეროვნული თვითობის დასარღვევად).

1. “ადამიანის დამოკიდებულება მისი გარემომცველი სამყაროს მიმართ პარადიგმატული ბუნებისაა. ცხადია, შეუძლებელია ერთბაშად მთელი კოსმოსი ერთნაირ ხარისხში იქნას დანახული და აღქმული. ამიტომაცაა საჭირო ათვლის წერტილი, რომლიდანაც სიმორე-სიახლოვის მიხედვით შეიძლება მზერა გავადევნოთ მთელ მანძილს პირის ადგილსამყოფლიდან უშორეს წერტილამდე. არის

თუ არა ეს მომენტი გათვალისწინებული ენობრივ მასალაში? ათვლის წერტილი ხომ არის დედაენა, რომელიც შეიცავს ცნობიერ თუ ქვეცნობიერ ცოდნას ადგილის, როგორც ადამიანის სამყოფლის (თავშესაფარი, სამკვიდრებელი, სადგომი...) შესახებ. ამ თვალსაზრისით ლექსიკის კვლევა აუცილებლად შეიცავს ორ განზომილებას - სინქრონიულსა და დიაქრონიულს“ (თ. თურქია, 2009: 94-102).

სხვათა შორის „თავისიანისა“ და „უცხოს“ კვალიფიკაცია გააადვილებს ამ “თავისიანში“ მოსააზრებელი ხალხის გამოცნობას. სოციოლინგვისტები “თავისიანის“ ამოცნობის სხვადასხვა ენობრივ მაჩვენებელზე მიუთითებენ, მათგან ყველაზე თვალსაჩინოა:

- აქცენტი;
სახასიათო მეტყველება (მაგ., დიალექტიზმები);
საერთო სიტყვა-სიმბოლოები (მაგ., ისტორიული გმირები, სამხედრო წარმატებები, კულტურულ-სოციალური ფორმულები...);
ფრაზეოლოგიზმები;
საერთო სამეტყველო ეტიკეტი;
საერთო შეფასებითი კრიტერიუმები;
საერთო მტერ-მოყვარე და მათი ერთნაირი ენობრივი შეფასება;
საერთო იუმორი.

ყველა ამ პარამეტრის დამთხვევა მხოლოდ ერთსა და იმავე ერშია შესაძლებელი. ამ ერთობის აღმნიშვნელი ლექსიკური მარკერებიდან კი ჩვენში ყველაზე გავრცელებულია “სრულიად საქართველო“, “ყოველნი ქართველნი“, “ჩვენებურები“, “ჩვენი ენა“, “ჩვენი მწერლობა“:

ჩვეულებრივ, ინდივიდის, ეთნოსის, ერის მიერ დანარჩენებთან ერთიანობის მოაზრება ენის მეშვეობით ხდება.

“უდავოა, რომ ენას აქვს უაღრესად დიდი სიმბოლური ძალა ეთნოსისათვის. სიმბოლოები დგანან რეფერენტთა შორის და ყველა ენა რეალობისადმი მოლაპარაკის დამოკიდებულებას გამოხატავს, მისი მეშვეობით გამოითქმება ფასეულობანი, რომელნიც ენის ცოდნის ხარისხის შესაბამისად ეთნოსის ფასეულობათა გამომხატველ ერთობაში ამკვიდრებინებს ადგილს მოლაპარაკეს. რატომ არის ენა ეთნოსის თავისებურებების ყველაზე მარჯვე (და ფასეული) გამომხატველი ყველა სხვა სიმბოლოსთან შედარებით? არაფერს არ შეუძლია იყოს ეთნოსის სიმბოლო (საკვების ტიპს, ჩაცმულობას, საცხოვრებელ სივრცეს, არტიფაქტებს, შრომით თავისებურებებს), მაგრამ ენას შეუძლია; იგი ამთლიანებს მთელ ეთნოსს, კრებს მას, მოუწოდებს ერთობისაკენ“ (Uses of the Other).

თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ენობრივი თვითობა არსებობს ერში მას შემდეგაც, როცა თავად ენა იკარგება. სხვის ენაზე

მოლაპარაკე ადამიანი, რომელსაც თავისი წარმომავლობა ახსოვს, თავისდაუნებურად მშობლიური ენის მსოფლნატს ასახავს უცხო სიტყვებით. როგორც ლინგვოკულტუროლოგებს მიაჩნიათ ადამიანი მშობლიური ენის ლოგიკასა და ექსპრესიას იმეორებს უცხო ენაზე საუბრისას; ამ მიმართულებით კვლევის წარმოება ძალიან მნიშვნელოვანია.

აი, რამდენი სამუშაო საქართველოსა და ფერეიდანის ქართველთა იდენტიფიკაციის მიმართულებით. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ერთიანობა არა მხოლოდ წარსულში, არამედ ახალი ტიპის მსოფლიოშიც.

დამოწმებული ლიტერატურა:

თ. თურქია, მოსახლეობის მიგრაციის ლექსიკური რანჟირებისათვის - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ენისა და კულტურის ინსტიტუტი, აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი, პირველი ეროვნული სამეცნიერო სესია ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები“, თბილისი, 2009;

მ. ტაბიძე, უცხო“ აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში, კავკასიოლოგიური ძიებანი, I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), თბილისი, 2009, სტატია, გვ. 167-180 ;

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი, გამომცემლობა მერანი,“1991; II, 1993;

ქართლის ცხოვრება, I, ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, სახელგამი, თბილისი., 1955;

ქართლის ცხოვრება, II, ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, სახელგამი, თბილისი., 1959;

ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, I ა-ლ, გამომცემლობა არტანუჯი, თბ., 2005. 392;

Petersson Bo, National Self-images and Regional Identities in Russia, 2000, Hampshire GU 11 3 HR England;

Turkia, T. Lexic expressing migration in the country and some problems of language identity in modern Georgia (Conference on Caucasus Studies: Migration – Society – Language. Department of International Migration and Ethnic Relations (IMER). Malmoe University, Sweden) 28-30 November, 2008;
<http://195.178.225.22/CSmsl/msl/Turk.pdf>;

Uses of the Other.“The East” in European Identity Formation, Iver B.Neumann, Borderlines, volum 9, University of Minnesota Press.Minneapolis, 1999.

Manana Tabidze /Tbilisi.Saint Andrew the First-Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia/

Linguistic Markers of Georgians Exiled in Iran Summary

Nowadays, there exist a few lexemes used as markers of Georgians living outside the borders of Georgia, such as: ‘emigration’, ‘living abroad’, Georgians ‘settled’ in Iran, Turkey, Georgian community of Fereydan, Turkish Georgians, Georgians exiled from Kakheti, ‘Chveneburebi’ denoting ‘Georgians in Turkey’, etc.

It should be noted that our historical past (like for any country its own history) is now perceived with semiotic urgency as long as the past is the axis around which these people (society, nation) are consolidated. People feel closeness while recalling common happiness and sorrow, similar attitude towards one and the same historical fact, even their knowledge of this or that historical moment. Thus, centuries later, common past may turn out to be a unifying memory not only from one side of the barricades, but also from the side of those standing on the opposite sides.

Within the context of researching national identity of Georgians, the fate of Kartl-Kakheti in the 17th century can be considered as one of the most significant historical moments. We mean the great tragedy of Kakheti when Georgians were exiled abroad. Linguistic markers referring Georgians exiled in Iran are common for any more or less educated Georgian: **‘Fereydan is a pain of Georgia’, ‘It’s far from Gurjistan (Georgia)’, ‘Do not become a Tatar’, ‘Had it not been treason’,** etc.

Despite the fact that Georgians of Fereydan happened to be exiled in Persia as a result of brutal wars, while assessing the events of this epoch, Georgian historical and literary sources are recalling more about mistakes and treason committed by Georgians than talking about the responsibility of Persians. This attitude seems to be deeply embedded in the Georgian consciousness; it is obvious that no nation is free from ‘treason and deceit’ and these vicious sides of men’s nature are everywhere. However, Georgians turn out to feel particular responsibility for the behavior of their fellow citizens and they tend to generalize every single fallaciousness. Expressions like ‘We, Georgians, are unreliable’, ‘We are traitors’, ‘We are lazy’, ‘We do not appreciate each other’, etc. are very common.

Under the Communist Regime, it was an unattainable dream to see Fereydan Georgians. That might have been the reason why imagination and idealization were added to the little information people had about their compatriots. People retold each other about successful deeds of

Fereydan Georgians, their high level of knowledge of the Georgian language, existence of Georgian villages with Georgian names, lullaby sung by Fereydan mothers, families having many children (this myth is invented by people concerned by the number of Georgian population), baking maize-bread with an image of cross on it, etc. It can be concluded that like Fereydan Georgians kept legends and myths defining their identity, Georgians also created a new kind of mythology about their compatriots living in Fereydan.